

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №29
2022 წლის 27 დეკემბერი

ქ.ლაგოდეხი

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნას ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №9 დადგენილებაში. (www.matsne.gov.ge 18/01/2018, 010250050.35.167.016358).

მუხლი 2

დადგენილებით დამტკიცებულ №1 დანართში შეიცვალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 3

დადგენილებით დამტკიცებულ №2 დანართში შეიცვალოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 4

დადგენილებით დამტკიცებულ №2 დანართში, ადმინისტრაციული განყოფილებას დაემატოს მე-2¹ პუნქტი, III რანგი-მოქალაქეთა მომსახურების, საქმისწარმოებისა და საკანცელარიო საკითხების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 5

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია

დანართი №1

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა
თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა
1	საკრებულოს თავმჯდომარე	4961 ლარი
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	3751 ლარი



3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	3267 ლარი
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	2662 ლარი
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2420 ლარი
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	1936 ლარი

დანართი №2

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო

მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	მოხელის თანამდებობათა რანგები	თანამდებობათა დასახელება თანამდებობის დასახელება	რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა
1	I რანგი	აპარატის უფროსი-საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	2785 ლარი
ადმინისტრაციული განყოფილება				
2	II რანგი	ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი - საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1940 ლარი
21	III რანგი	მოქალაქეთა მომსახურების, საქმისწარმოებისა და საკანცელარიო საკითხების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1331 ლარი
3	III რანგი	რეფერენტი-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1210 ლარი
4	III რანგი	მოქალაქეთა მომსახურების, საქმისწარმოებისა და საკანცელარიო საკითხების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1089 ლარი
საორგანიზაციო განყოფილება				
		საორგანიზაციო განყოფილების		1940 ლარი



5	II რანგი	უფროსი - საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	
6	III რანგი	საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო საკითხების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1331 ლარი
7	III რანგი	ადამიანური რესურსების მართვის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1331 ლარი

